გეოპოლიტიკური ფრუსტრაცია და ჰიბრიდული პასუხი: რუსეთის ქცევის ემპირიული ფიქსაცია უკრაინის კრიზისის შემდეგ (2013-2021)[1]

რუი კაი სუე
პეკინის საერთაშორისო კვლევების უნივერსიტეტის
ქვეყანათმცოდნეობისა და რეგიონული
კვლევების სკოლის ლექტორი
ელ-ფოსტა: ruikai0814@outlook.com
ORCID: https://orcid.org/0000-0002-1001-871X

აბსტრაქტი. 2013 წლის უკრაინის კრიზისი იყო უმნიშვნელოვანესი გეოპოლიტიკური კატასტროფა ცივი ომის დასრულების შემდეგ, რამაც დაამსხვრია სსრკ-ს დაშლის შემდგომი ევროპული უსაფრთხოების სტრუქტურის სიმშვიდე და გამოიწვია მწვავე დაპირისპირება რუსეთსა და დასავლეთს შორის. უკრაინის კრიზისის შემდეგ მოსკოვმა მოახდინა ყირიმის ოკუპაცია, ხოლო სამხედრო კონფლიქტმა დონბასის რეგიონში სერიოზული ჰუმანიტარული ტრაგედია გამოიწვია. უკრაინის კრიზისს აქვს ღრმა ისტორიული, ეთნიკური და გეოპოლიტიკური საფუძვლები და იგი უნდა განიხილოს შავი ზღვის რეგიონში დასავლეთსა და რუსეთს შორის მიმდინარე თამაშის ნარატიულ ჩარჩოში.

წინამდებარე სტატია, უპირველეს ყოვლისა, აგებს „ფრუსტრაცია-პასუხის“ ანალიტიკურ ჩარჩოს და შემოაქვს ორი შუამავალი ცვლადი: მიზნობრივი მოლოდინი და მანძილი მიზნამდე. შემდეგ, სტატია თეორიულ ელემენტებს ნერგავს რუსეთსა და უკრაინას შორის ურთიერთქმედებაში, რაც მოიცავს ამ ორი ქვეყნის გადახლართულ ისტორიას, ცივილიზაციურ და ეთნიკურ კავშირებს. დასასრულს, ნაშრომში გამოყენებულია მოპოვებული (GDELT) მონაცემები 2013 წლის ევრომაიდნის კრიზისის შემდგომი რუსეთის ქცევის ემპირიული გაზომვისთვის, რაც იძლევა გარკვეულ მასალას საგარეო პოლიტიკის ანალიზისა და სახელმწიფოს ქცევის პროგნოზირებისთვის.

საკვანძო სიტყვები: რუსეთი; უკრაინა; ფრუსტრაცია; ყირიმი; აღმოსავლეთ სლავური.

[1] წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს ავტორის პირად შეხედულებებს და არ ასახავს იმ ორგანიზაციის პოზიციას, რომელსაც ის განეკუთვნება.